



გ ა ზ ე თ ი ნ - შ ა ს ი

ფურცლები: მაგნიტის	მაგნიტის:
ფურცლები — 7 მან.	— — — 6 მან.
ფურცლები — 4 — 50 კ.	— — — 3 — 50 კ.
ფურცლები — 1 — 50 კ.	— — — 2 — 75 კ.
ფურცლები — 1 — 50 კ.	— — — 15 კ.

დროება

ხალის-მღვანე მთავარი: **თეოდოსი**
 თბილისში — „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მთლიანად თბილისის გარეუბრე მცხოვრებთათვის აღრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
 მთავარი — **ლ. ლ. ლ. უ. ა. ს. თ. ა. ნ.** — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიციის სახლში.

პეტროს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბუქდათ, მაგრამ, რომლისაზე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გზებში.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მისთვის.

შინაარსი
 ამგებები: საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა (ისტორიული მიმოხილვა) — მანონ მდებრების სხლამა — ახალი მინისტრები — საფრანგეთის გაზეთები — მეროპა ომის დროს ომის და ბელგია — აგსტრა — იტალია — ბრძოლებიდან.

ომის აზრები

საგაზეთის შინაგანი მდგომარეობა
 (ისტორიული მიმოხილვა)
 დაწყების დროს თითქმის ყველა მხარე და მწერლებს იგონათ, რომ საფრანგული გამარჯვებით გაისიერებდა პარიზის ბერლინში და მტვერსავე დაფანტავდა მერმანის ჯარს. თუ მერმანის საფრანგეთის წინ დადგომა შეეძლო, ეს აზრი უკვე არაფერს მოსვლიდა; მაშასადამე ადგილობრივად წარმოიდგინოს კაცმა, რანაკაცირებით და გაციფრებით უნდა გაზეთებს გერმანიელების გამარჯვებით.

დაპირველათ, ეს ამბავი არაფერს სჯერებდა, მაგრამ როცა ის საკმაოდ გავრცელდა ყველასთვის აშკარა საქმით გადაიქცა, რომ მაშინ იმ მიზეზების გამოკლებას, რომელთაც საფრანგეთის დამცირებებდა. აი, შემოკლებით, რა აზრის ისინი ამ საგანზე.

არაფერს ორმოცდა მეთორმეტემდი, საფრანგული რესპუბლიკა იყო, რომელსაც თავისი ამორჩეული ყავდა ლუი-ნაპოლეონი. თავისი უფროსობის დროს, ნაპოლეონმა ყოველნაირი საშუალება იხილა და იხილა პირები ეშოვნა, რომელთაც ჯარზე და ხალხში გავლენა ჰქონდა და მისთვის რესპუბლიკის მოსაპოვებლად დაიწყეს მისი მოსაპოვებელი. რადგან რესპუბლიკის მოსაპოვებელი და სინდისის წინააღმდეგი საქმე იყო, მათ თითქმის ვერაინ იშოვნა იმის მოსაპოვებელი ცოტადენი სახელი მინც ჰქონდა ხალხში, ან ჯარში, მაშინ იმან თავი დაიხილა ისეთ პირებს მიაკცია, რომელთაგან და დიდკაცობის სურვილი ბლოკდა და შეძლება კი — ნაკლებათ. ამ პირებისთვის, რასაკვირველია, ძლიან იყო ის ჯილდო, რომელსაც მათ იმპერატორი პირდებოდა: ფული და სახელიანი სამსახურის ადგილები.

ამ პირებმა აღტაცებით მიიღეს ბონაპარტი და მისი სურვილის ასრულებად, ბონაპარტემ, თავისი მხრით, დაიწყო მისი ხელი, იმ აზრით რომ მას „სახელ-განთქმული“ პირები უნდა მიეცინო. ასე, მაგალითად, როცა ბონაპარტი რესპუბლიკის დარღვევის პლანს აწარმოებდა მგობარმა უთხრა იმას, რომ მათ არა გვეყავს ჩვენ მხარეზე. მაშინ მათ უპასუხა: „მოდით დავაკეთოთ მცოდნე პირები, როგორც ტროშუ, ლებრენი და ათასი სხვები. მსამხედრო სამსახურ-

გაუსია, ვითომ დასამორჩილებლათ, ნამდვილათ კი მხოლოდ მისთვის, რომ რაღაც შემთხვევა შემოვიდა თავისი მომხრეების დასაჯილდოებლათ. ამ ნაირათ გამოიყენა ბონაპარტემ სანტ-პარნა, მანრობერი და ბერი სხვანი, რომელთაც, სამაგიეროთ, ის თვითონ იმპერატორათ გამოიყენეს, ნაპოლეონ მესამის სახელით.

ახლა მთელი ქვეყნისთვის აშკარა საქმეა, რომ მაშინდელ ნაპოლეონის მომხრეებს, როგორც სამხედრო, ვერაინევე სამოქალაქო წრებიდან. მოგების და სიხარბის მეტი მიზანი და სურვილი არა ჰქონათ რა. ახლამ იმპერატორმა, დაპირებისამებრ, დააჯილდოვა თავისი მომხრეები: მათ მშვენიერი ადგილ-მამული დაურთოდა, მათ მიეცა ჯილდოები და სამსახურის ადგილები, მათი ჯამაგირები ათი და ასი ათასობით ითვლებოდა; ერთი სიტყვით ეს პირები დააძინეს საფრანგეთს, რადგან მათ გაძღომის მეტი მიზნათ არა ჰქონდათ რა.

ამ პირებს ჩაბარდა მთელი საფრანგეთის ჯარი რესპუბლიკის დაცემის წინ, და მასაქმეთა ჯარი მათ და მათი მსგავსების ხელში იყო. მასაქმეთ ისინი ყოველთვის იმას ფიქრობდნენ, თუ როგორ „დაეძროთ“ რამე საფრანგეთისთვის, რანაირათ „ჩამორჩენოდნენ“ რასმეს ჯარის ხარჯს, რარეგათ ესარგებლებიან თვითონ და ესარგებლებიანთ თავიანთ ნათესავებისთვის... მაგალითად, როცა, სამოცდა ექვსის ომის შემდგომ, საფრანგეთმა დაინახა, რომ უწინდელი ჩამახინჩი თოფები საოპრათ გამოუდგარი შეიქნენ და ჯარს ახალნაირი თოფები დასჭირდა, არტილერიის კომიტეტს მიანდეს სხვა და სხვა ნაირ თოფებში უკეთესის ამორჩევა. ამ კომიტეტმა ამორჩია შასპოლ თოფი, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ყველაზე უკეთესი იყო, იმისთვის რომ მისმა მომგონმა — არტილერიის აფიცრმა — შასპომ — დიდი სარგებლობა მისცა კომიტეტის თავმჯდომარეს, ლეებესს, რომელიც ამ უკანასკნელ დროში საფრანგეთის სამხედრო მინისტრათ იყო, და რომელსაც ესლანდელი ომი უნდა მოემზადებია...

ამისთანა კაცებს, რასაკვირველია, ხეირიანი, ნიჭიერი და პატიოსანი კაცი ამხანგათ და ხელქვეითად ვერ გაუძლებდა. ამისგამო ისინი მხოლოდ იმნაირ პირებს სწევდნენ წინ და აჯილდოვებდნენ, რომელნიც მათსავით მხოლოდ სარგებლობას დაეძებდნენ და, სარგებლობის გულისთვის, უფროსებს ფეხ-ქვეშ უგორებდნენ. მართლაც, ვინც ჯარში და სამოქალაქო სამსახურში ნიჭიერი და პატიოსანი ვინმე იყო, თითქმის ყველამ ან სრულიად თავი დაანება სამსახურს, ანა და ისეთ მდგომარეობაში ჩარჩენ, სადაც არაფერი გავლენა აღარ ჰქონდათ და სადაც ისინი მხოლოდ იმისთვის რჩებოდნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ.

ამ გვარათ დაანებებისთვის თავი სამხედრო სამსახურისთვის ისეთ გააჩენილ პირებს, როგორც შანგარნიე, შარასი და სხვ. ამ გვარათვე უკან ჩამოტრევის ისეთი ნიჭიერი და მცოდნე პირები, როგორც ტროშუ, ლებრენი და ათასი სხვები. მსამხედრო სამსახურ-

ში. სამოქალაქოში ხომ, რალა თქმა უნდა: ამ ნაირი უსამართლოება და მიდგომლობა ასი ათასი ერთ ფარათ იყო.

მაშასადამე, ჩვენ ვიცით ახლა ერთი მიზეზი, — ჯარის უფროსების უნიჭობა, უხეირობა, და სამხედრო საქმეებში უგნურობა.

მეორე მიზეზი — პირველზე ნაკლები როდია: საფრანგეთის ხალხს, და განსაკუთრებით იმ ხალხს, რომელიც ქალაქებში სცხოვრობს და ცოტადანთ მაინც ნასწავლია, არ უყვარს და არ მოსწონს ესლანდელი სახელმწიფო წესი საფრანგეთში. იმას ახსოვს რესპუბლიკა და ჰგონია, რომ საფრანგეთს და მის ხალხს შეფერის რესპუბლიკის თავისუფალი გაწყობილება. მს ხალხი, რასაკვირველია, ნაპოლეონის წინააღმდეგია. რასაკვირველია, აგრეთვე, რომ ნაპოლეონიც თავისი მხრით ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ ამ ხალხს განძრევის ნება და შეძლება წაართვას. მართი სიტყვით, ნაპოლეონი და მთელი საფრანგეთის განათლებული ხალხი, ქალაქის მცხოვრებლები და ბევრი გლეხებთაგანც ერთმანეთის გადაკიდებული მტრები არიან, და იმანათის დაარსების შემდგომ აშკარათ ებრძვიან ერთი მეორეს.

აქედან სჩანს, რომ ქალაქებში ნაპოლეონს დიდი ჯარი უნდა ეყოლოს, ხალხის შესაჩერებლათ და დასამორჩილებლათ, ვინცილობა, ხალხმა რომ ნაპოლეონის და მისი მმართველობის წინააღმდეგობა დაიწყოს.

მს საჭიროება ისეთნაირია, რომ ესლანდელ ომის დაწყების დროს, თუმცა ხალხი ომს ნამეტნათ არ ეწინააღმდეგებოდა, ნაპოლეონმა მაინც ვერ გახედა ქალაქებიდან ჯარის გაყვანა, და ქალაქების დასაცველათ შიგ მაინც კარგა ძალი ჯარი დასტოვა. თვითონ პარიზში, მაგალითად, ორმოცი ათასი ჯარი დასტოვეს, და პარიზის ახლო-მახლო ქალაქებში, (სხვათა შორის შალონის ბანაკში *) დარჩა ასი ათასი კაცზე მეტი. ლიონს, მარსელს, ბორდოს, ნანტს და თითქმის ყველა ცოტათი მაინც შესანიშნავ ქალაქებში დიდ-ძალი ჯარი დარჩენილა, იმავე მიზნით, ესე იგი ხალხის დასაკავებლათ და დასამშვიდებლათ. — სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორასი ათასი კაცზე მეტია ამ გვარათ დატოვებული ქალაქებში.

შველა სახელმწიფოებში მიღებულია ის წესი, რომ ომიანობის დროს საბრძოლელათ გწყობილს, ნიადაგს ჯარს გზავნიან, და ქალაქებში, მშვიდობიანობის და რიგიანობის დასაცველათ, თვითონ მოქალაქეებს გამოაწვევენ, მათგან მილიციას აგროვებენ, და იმას ბარდება ქალაქი და მისი მყუდროება. მეროპაში ამ მილიციას „ნაციონალურ გვარდიას“ (ესე იგი „ქვეყნის დამცველებს“) ეძახიან. რადგან ქალაქების მცხოვრებლები ნაპოლეონის წი-

*) შალონი, საცა საფრანგეთის ჯარი ბანაკით დგება ხოლმე, ზღვის პირზე დგას, პარიკიდან დასაღწეისკენ. იმას უძახიან „შალონი-ზღვაზე“. პარიკიდან აღმოსავლეთისკენ მეორე შალონი დგას, რომელსაც, მისი მდინარის გულისთვის, „შალონი-მარნაზე“ უძახიან. აი ეს შალონი დაუტოვებიათ ვხლა ფრანკუზებს და გერმანიელებს აუღიათ, და არა ის შალონი, საცა საფრანგეთის ჯარი გროვდება და ზაფხულობით ბანაკობს.

ნაღმდენი არიან, ნაპოლეონმა, თავისი ტახტზე აწვლის შემდგომ, ისეთ ნაირ მდგომარეობაში ჩააყენა მოქალაქეების მილიცია, რომ იმას ყოველი შეძლება და ღონე წაერთო, ასე რომ ახლანდელი ომის დაწყების დროს იმას ქალაქის მშვიდობიანობა ვეღარ ჩაბარდებოდა...

მში რომ იწყებოდა, საფრანგეთის გაზეთები და დეპუტატები თითქმის ერთის ხმით თხოულობდნენ, ქალაქებში რაც ჯარია სამხედროზე გაგზავნეთ, ესლა ქალაქების ხალხი მაინც წინააღმდეგობას არ იხამსო. მაგრამ ნაპოლეონმა სხვაფერი არჩია: იმან კარგათ იცოდა, რომ პირველი დამარცხების შემდგომ ხალხი იმას ხეირს არ დააყრიდა, და ამისგამო თითქმის ნახევარი ჯარი უსაქმოთ და ომში გამოუდგრათ დასტოვა...

რაკი პარიზში და სხვა ქალაქებში მაკმაპონის დამარცხების ამბავი გავრდა, ყველამ ერთ-ხმით ითხოვა ჯარის სამხედროზე გაგზავნა და სახელმწიფო თოფ-იარაღის დარიგება მთელი ხალხისთვის. ხალხმა ეს თხოვნა ისეთ ნაირათ გამოთქვა, რომ თითქმის ყოველგან მმართველობას ჯარის ხმარება დასჭირდა, „ხალხის დასამშვიდებლათ.“ მარსელში, მაგალითად, ხალხს მმართველობის (რატუშის) სასახლე აეღო, და შიგ ახალი უფროსები დაეყენებია; ლიონში და პარიკში ხალხის დასამშვიდებლათ რომ ჯარი გამოიყენეს, ხალხმა დაუყვირა სალდათებს: „თქვენ ესლა აქ კი არ უნდა იყოთ, ჩვენ დასახოკათ, თქვენი ადგილი ესლა სამძღვარზეა, მამულის დასაცველათ.“ მათებში სწერენ, რომ თვითონ ის ჯარი, რომელიც ქალაქებშია დატოვებული, თავს იკლავს — ომში გაგვზავნეთ საომრათ, აქ უსაქმოთ და ჩვენი ხალხის დასახოკათ რათ გეინდა ყოფნათ.

აქედან სჩანს მესამე მიზეზი — საფრანგეთს არ შეეძლო და არ შეუძლია მოიხმაროს საომრათ თავისი ჯარი: ამ ჯარის ნახევარი, ან და მესამედი ნაპოლეონს ხალხის დასაკავებლათ სჭირია.

მხლა იმ ჯარს რომ გადაევიდოთ თვალი, რომელიც სამხედროზე გარეგან მტერს ეომება, ჩვენ დაინახათ მეოთხე მიზეზს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის დამცირებაზე.

ომის დროს, როგორც ყოველნაირ ხალხის მოძრობაში, პირველი ადგილი იმას უკავია, თუ რა თვალებით უყურებს ხალხი ან ჯარი თავიანთ წინამძღომელს. თუ ჯარს თავისი უფროსის იმედი აქვს, თუ ჯარს მისი ხალხითი მოსწონს და უყვარს, თუ ჯარი დარწმუნებულია, რომ ეს კაცი სხვებსავე დაბალი სულის და გრძობის არ არის, მაშინ უფროსის ერთი სიტყვა, ერთი მითითება ან თავის განძრევა — მთელი ჯარისთვის კანონია. მაშინ უფროსი ცეცხლში და წყალში კი არა, გოჯოჯოხეთში რომ შევიდეს, მისი ჯარი დაუფიქრებლათ თან შეყობა, და მის გულისთვის სულ ერთიანათ დაიკებება; ერთი სიტყვით, რალა ბევრი გავგარძელოთ, ყველამ იცის, რომ უფროსის, წინამძღომლის მაგალითის გაუზომავი გავლენა აქვს ჯარის ან ხალხის მოქმედ-

ბაზე, ასე რომ ხშირად საქმე მართა ამ მაგალითზე კილია.

საფრანგეთის ჯარს კი ისეთი უფროსები უყენია თავში, რომ მათ არაფრისგან არაფერი გაუღენის მოაზრება არ შეუძლიანთ. საფრანგეთის ჯარში, იქნება, ერთი სალდათი არ იყოს ისეთი, რომელიმანც უი არ იცოდეს, რომ მისი უფროსები ისეთი პირები არიან, რომ მათთვის არც სამშობლოა ქვეყანაზე, არც მამულის დიდება, არც რომელიმე აზრის დაცვა და გაერყელება;—მათთვის გულ-სატყვიარი მხოლოდ მათი საკუთარი ადგილი, მათი ხარისხი და ღირსება, მათი ჯამაგირია. შერაფერი ჯარი ვერ შეიყვარებს ამისთანა პირს, და ის კაცი, რომელსაც თვითონ გულში და სულში თავგაწირულობა არ უდგია, ვერც სხვას გააწირინებს თავს... შექედან სხანს, რომ ამ გვარი უფროსების ხელქვეითი ჯარი თვეზივით გულგრილად უნდა მიდიოდეს ომში. მამასადამე მისი ძალა და ღონიერება, მომატების მავიერათ, კიდევაც კლებულობს...

მეხუთე მიზეზი წინანდელ ნობრებშია იყო მოყვანილი: საფრანგეთს მისმა მმართველობამ თითქმის ძალდატანებით შეატოპინა ომში, იმ აზრით, რომ გარეგანი გამარჯვება ხალხს შინაგან სიგლახეს დააიწყებინებს და სამეფო ტახტს გააძლიერებს. ხალხს, ომის დაწყების დროს, თვალს წინ არ ჰქონია ამის მიზეზი; ის დარწმუნებული არ ყოფილა ომის საჭიროებაში, აუცილებლობაში; ის გრძობდა, რომ შერმანიელებს შეერთება უნდათ. მს შეერთება, მართალია, ამცირებს საფრანგეთს, მაგრამ, ფრანკლები, თუმცა ძლიერ ემტრებიან და ემტრებოდნენ შერმანიის ერთობას, გულში მაინც გრძობდნენ, რომ იმათ არაფრის სიმართლე არა აქვთ შერმანიის საქმეებში გარევისთვის. მა რაკი შერს, რომელიც თვითონაც აუძღვრებოდა კაცს, იმის გრძობაც დავაძღვრებოდა, რომ საფრანგეთი უკანონობას შერება, თავის მეზობელს შეერთების და ხეირიანი შინაგანი გაწყობილების ნებას რომ არ აძლევს, ომის აღტაცება თითქმის სრულიად გაქრა ფრანკლებში.

ამ გარემოებას ისიც დავაძღვრებოდა, რომ უპატრონო და მართა თავის ჯიბის მოყვარე მოსამსახურე პირებს, რომელნიც საფრანგეთში სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში არიან, ძლიერ ცუდად გაეწყობათ ჯარის სურსათის საქმე: საომრად გამოწყობილს და სამხედროზე მიდგომილ ჯარს თურმე სასმელ-საქმელი არ ჰქონდა მზათ; ასე რომ სამ-სამი დღეობით სალდათები მშვიერ-მწყურვალე რჩებოდნენ. ამ საქმეს ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონია ჯარის მდგომარეობაზე; ეს გასაკვირველი არ არის: რაღა საომარი ღონე ექნება სამი დღის უკმელ-უსმელ კაცს, და რაღა მამული ემხსოვრება, როცა ის ხედავს, რომ მისი შიმშილის დროს, მისი უფროსები მშვენიერად ცხრომაში არიან და ქიფის წყის მცტს არას შერებთან *)?

სურსათის დამზადების საქმე, როგორც ყველა სხვა საქმეები, ასე ცუდად მისთვის გაწყობილა საფრანგეთში, რომ იქ უფროსები მხოლოდ თავიანთ ჯიბისთვის ზრუნავდნენ, და დაჯანბნულ და ილაჯ ამორთმეულ უტროსს კი პირდაპირი უფროსის ბრძანების შეტი არა აგონდებდა რა: ის თვითონ როდი ცდილობს, როდი ფიქრობს—რა მოვიზრო და რა ექნა ისეთი, რომ ჩემ ქვეყანას და ხალხს გამოადგეს, სარგებლობა მიუტანოს და ხარჯი მოაკლოსო. არა, მის დაცემულ სულს ერთი ფიქრის შეტი აღარა აქვს რა: მე ეს მიბრძანეს, ამას გავაკეთებ; მიტი მე არა მომიხებოვება რა, ამიტომ რომ ავგროცი

*) მათთვის რომ დინიემე მაგალითია მოყვანილი, რომ მშვიერ სალდათებს თავიანთი უფროსები გაულანძლავთ და გაუპატრონებიათ, როცა ისინი ჩინებულ სუფრასზე ისხდნენ, კარგვში, და თავის სადღე-განმისთვის ველაფერს მოულოდნელნი.

წელიწადია, უფროსები იმას მიბრძანებენ, რომ ჩემი ჰკუთნო ნუ ემოქმედებ, ნუ ესვი, ნუ ვინძრევი, და ყველაფერში უფროსების ნებას და ბრძანებას უნდა ვუცდიდე და ვემორჩილებოდე... მართლაც, თუნდ კიდევაც რომ უნდოდეს ამისთანა ხელქვეითს რაიმე მოიზროს და მოახერხოს, ის მაინც ვერაფერს იზამს: ამდენი ხნის ბრმა მორჩილება მისთვის ტყუილად ხომ ვერ ჩიარდა; გონიერ მოქმედებას, მოაზრებას ის გადაჩეულოა, და ამ საგნებს კაცი ორ-სამ კვირაში ხომ ვერ შეიჩევეა.

საფრანგეთში დიდი იმედი ჰქონდათ ახალ გამოგონილ ზარბაზნებზე, ახალ-ნაირ თოფ-ნარაღზე და სამხედრო, საომარ გაწყობილებაზე. ჩვენ ისეთი იარაღები გვაქვს, ფიქრობდნენ ფრანკლები, რომ ერთი წუთის განმავლობაში ამოგვლიტო მთელ შერმანიის ჯარსაო. მა ყველას მაშინვე ახალი კარტჩის ზარბაზანი აგონდებოდა. საფრანგეთის მმართველობა ძლიერ მალავდა ამ ზარბაზნების გაწყობილებას, და ფიქრობდა, ჩვენს მტრს ამისთანა ზარბაზანი არაფის ექნებაო, რადგანც ჩვენი გამოგონილია, და ჩვენს მტრმა მისი გაწყობილების საიდუმლო არაფინ იცისო *). მაგრამ პირველივე ბრძოლის შემდგომ, ნაპოლეონმა თავის ცოლს დებეშა მისწერა, რომ „პრუსიელებს ჰქონდათ ახალნაირი კარტჩის ზარბაზნები (მიტრალიერები), რომელთაც ჩვენ ჯარს დიდი ზარალი მიაყენესო“.

მს ამაზე არაფის არ უნდა გაკვირვებოდა. პრუსიელებს თვითონ რომ არ გამოგონათ მაგ ნაირი ზარბაზნები, იმათ ძლიერ აღვილათ შეეძლოთ მისი გაწყობილების, პლანის და აწერის ყიღვა საფრანგეთის მმართველობის პირებისაგან. მართლაც რა საიდუმლო და რა საქმე დაურჩებათ გუყიდეელი და გაუცემარი იმ პირებს, რომელნიც ნაპოლეონს მხოლოდ ფულისთვის, სარგებლობისთვის ემსახურებოან, და რომელნიც მზათ იყენენ ფულის გულისთვის, მთელი პარიზის ხალხი ამოვკაფათ და დაეხერხათ? მანა მიტრალიერის საიდუმლოს გაყიღვა გაუჭირდება ისეთ პირს, რომელმაც თავისი საკუთარი სამშობლო, მისი ღირსება და დიდება ნაპოლეონს ორ გროშათ მიყიდა? თუ საფრანგეთის მმართველობის ფული ფულობდა, განა ბისმარკის ფული ყარს?

მს განლაგეთ საფრანგეთის დამცირების მიზეზები,—და თვითონ ამ მიზეზებს, ყველას ერთიანთ, ერთი საკუთარი მიზეზი აქვთ—ის მიზეზი, რომ საფრანგეთში საძველი მმართველობის წესია და მმართველობა ცუდი კაცების ხელშია.—ცუდი მმართველობა, ცუდად გაწყობილი სახელმწიფოა წესი, ორგულობის ამაღლება და პატიოსნობის სასაცილოთ აღება და შემცირება, გონიერი, მამულის მოყვარე პირების შეურაცყოფა, დევნა და დახრცვა კეთილად არ დიდუკობოდა საფრანგეთის სახელმწიფოს... მსლანდელი საფრანგეთისთვის, ესლანდელ ფრანკლებისთვის, საფრანგეთის დამცირება ჰკუის სასწავლებელათ უნდა გამოადგეს; ესლა ყველასთვის აშკარაა, თუ რა გავლენა აქვს მმართველობას ქვეყნის

*) აი, რა რიგით დაბრძანებული იყო საფრანგეთის ხალხი ამ საგანზე: თვითონ იმ დღეს, როცა მკრტის ახლო მა-მაპონის ჯარს გერმანიელების ზარბაზნები და თოფ-ნარაღი სწევდა, პარიზში ერთმა ვაზნებმა წინანდელი (საპრუსიის) ბრძოლის აწერა აი რა სიტყვებით დააბოლოდა: „იქ (გარაზე) დავაყენეთ ჩვენ (ფრანკლებმა) მიტრალიერების რაზმი, და მალე გავრდა-მათი საზარელი ხმა; ცოტა ხნის შემდგომ ეს ხმა ხელმეორეთ მოისმა. საბარლო პრუსიელები!“...

მდგომარეობაზე და ბედზე და რა აუცილებლათ საჭიროა ყოველ ცალკე პირისთვის საფრანგეთში იმსაგანზე ზრუნვა, რომ მმართველობა ხეირიანთ ირჯებოდეს, ხალხის გონებას არ კლაედეს, ხალხის ღონეს ფუჭათ არ კარგადედეს, ერთი სიტყვით, რომ მმართველობა მამულის მოყვარე პირებს ებაროს, და არა ქიფის და სარგებლობის მეძიებლებს...

ის ვაზეთები, რომელნიც, ომის დაწყების დროს, შერმანიის დაცემას ელოდნენ, ესლა, შერმანიის გამარჯვების შემდგომ, ერთ ხმით სტირიან საფრანგეთს, თითქო ეს ქვეყანა, თავისი ხალხით, სრულებით გამქრალიყო ქვეყნის ზურგიდან.—მაგრამ, მათი წუხილი ისრევე უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლო უწინ მათი სიხარული იყო: საფრანგეთის ხალხს ბევრი გაჭირება გამოუვლია გამარჯვებით. როგორც საფრანგეთის პარლამენტში ერთმა დეპუტატმა თქვა, „საფრანგეთის ხალხი ღონითა, რომელსაც წინ ვირები მიუძღვიან“; მაგრამ, ვინ არ იცის რომ ღონით ვირის ხელქვეითათ არაა შექნილი?—საფრანგეთს შეუძლია გაისხნოს ის დრო, როცა, პირველი რესპუბლიკის დაარსების შემდგომ, მას მთელი შერაბა დაესია თავზე, და როცა რესპუბლიკის ჯარმა ყველა მხრიდან შემოსული მტრები დამარცხა, დაფანტა და გადენა. მს მოხდა 1793-ში. მსლაც, ეინიცობაა, ხალხმა რომ გაიღვიძოს, და თავში მამულის და პატიოსნების მოყვარე პირები დაიყენოს, უეჭველია, რომ მტერი იმას ვეღარას დაკლებს, და საფრანგეთის ხალხი წამოდგება ფეხზე დიდებით, როგორც მისსავით დიდ და კეთილ ხალხს ეკადრება, და მაშინ იმას აღარ შეეშურება თავისთანა ძლიერი და მხნე მეზობლის დანახვა შერმანიში.

წლევანდელ ომს დიდი გავლენა ექნება ქვეყნის ისტორიაში, ამიტომ რომ საფრანგეთის დამარცხება აქნამდი დაცემულ და უძლეურ შერმანიას შეანძრევს, გაბედულებას მისცემს და საქმეზე წაძრავს; საფრანგეთს კი დაანახებს, რომ იმას მხოლოდ მაშინ ეკავება ქვეყანაში პირველი ადგილი, როცა უწინდელივით ხეირიან შინაგან გაწყობილებას მიიღებს... მა ამ გაწყობილებას, რომელიც უსათუოთ ან ომის შემდგომ ან თვითონ ომის დროს დაარსდება საფრანგეთში, შერმანიისზედაც ის ზედმოქმედება ექნება, რომ ბისმარკს და სამხედრო წესს ესლანდელი გავლენა და ძალა მოაკლდება; როგორც ეს გავლენა, ვგრეთვე ეს ძალაც გადაეცემა მაშინ სამოქალაქო წარმატების მოყვარე ჯარტას.

მსა მიზეზი, რომ შერმანიის ჯარის გამარჯვებას შეხარინათ თვითონ საფრანგეთის ხალხის მოყვარენი, და ნაპოლეონის ჯარის დამარცხება აწუხებს საფრანგეთის წარმატების წინააღმდეგებს....

სანდონდებელი კრების სხდომა

როცა პარიზში საფრანგეთის დამარცხების ამაზე მოვიდა, ხალხი მეტის მეტათ აღელდა, დამმართველობამ საჭიროთ დინახა კანონდებელი კრების შეკრება, რომ მისი შემწყობით ხელახლავ ჯარის შეკრების და ფულის სესხების ნება მიეღო, ჯერ მმართველობამ დააწესა, რომ დეპუტატები 30 ივლისს (11 აგვისტოს) შეკრებილიყვნენ; მაგრამ რადგანც ხალხი მეტის-მეტათ აღმჩილი იყო, და შერმანიის ჯარი გაუჭირებლათ საფრანგეთის გულში შედიოდა, მმართველობამ გამოაცხადა, რომ კრება 28 ივლისს (9 აგვისტოს) მოხდესო. რადგანც ამ კრებას დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის შინაგან მდგომარეობაზე და მომავალზე, ჩვენ შემოკლებით გადმოვიწერთ იმ მასს, რომელიც შიგ მომხდარა პირველსავე მის სხდომაში.

„პრების გახსნისთანავე წამოდგა მინისტრების მდგომარე, მთელ მსმელთა წინაშე: იმპერატორს დაპირდით, რომ მინისტრები დაგეგმეს თქვენი გარემოება გახელდოა. ჩვენ არ ვისურვებთ შეკრების გადადება მინიმ მამულს საქმე გაუქმდა (მარცხენა ხარზე) (*). ხმანობა ისინი) ერთის ხმა, მარცხენა მხარიდან: მს კიდევაც მსმელ შერბი: ლოტარინგია მტრმა აიკლო (მა) — მარცხი პირე: ჩვენ მამულს საქმე არა გაუჭირდება. — ლ ა ტ უ რ - ლ უ მ უ ლ ე ნ ი: სსტო მინისტრებს გაუჭირდათ. — მ ა გ ე ლ შ ე ნ ი დ რ ი: ვეცადით მამულს საქმე არ ვით ჩვენი საკუთარი ღირსების დაუტევლობის ხმა) — მ ი ნ ი ს ტ რ ი: ჩვენ დავიბარეთ კი საქმე გახელდა. ჩვენი ჯარის ზოგიერთ სებს მარცხი დემარათ; მაგრამ ჯარის უმეტესი ლი ჯერ არც დამარცხებულა, არც ბრძოლაში ლა (ხმები: ძლიერ კარგი, ძლიერ კარგი...) წილს, რომელიც დამარცხდა, უკან დაახვიენ, ჯერ თუ ხუთჯერ უძლიერესმა მტრმა, მაგ მინც გამოაჩინა გასაკვირველი გმირობა (ყვესს ლუბიდან ხანგრძლივი ტაშის კვრა ისინი). — მონაპირე: ჩვენი ჯარი ღონითა, რომელსაც, ნონ პირველის სიტყვის არ იყოს, ვირები ყვესს ღონითა. (ხმანობა) მ რ ა გ (მმართველობას) თქვენ და ჯარი გაიმარჯვებს. — მ თ ე რ ი: დასხმა, რომ ჩვენი კრების წინ ეს მინისტრები (ხმანობა) — მ ა გ ე ლ დ ე მ ა რ ე (მ ნ ი ს ტ რ ი) მოისმინეთ ჯერ. პარლამენტი მერმე გასჯის (ძლიერ კარგი!) — მ ი ნ ი ს ტ რ ი (თავისას აგო... გმირობა, რომელიც იმას (ჯარს) გამარჯვებულა დიდებს მინც მიანიჭებს (პო, პო!)

სხდომა ამ გვართვე გაგრძელდა. მნა მხარე აღარ ზოგავდა არც მმართველ არც თვითონ იმპერატორს, რომელსა მსმელ-ჩაგრმა სთქვა, რომ ჯარი მის ხით არამც და არამც არ უნდა დარჩეს ტერატრში, როგორც მამბეტყამ, პირდაპირ მატეს, რომ ნაპოლეონმა ტახტზე ხელს და აიღოსო. მთელი კრება — ამს თქმა უნდა—ასე შორს არ წასულა, მაგიერათ, ისიც ძლიერ გაბრაზებულ მინისტრებზე. მლიევის და მის ამხ ბევრი საწყენი სიტყვის მოსმენა დასე ბოლოს, რადგანც პარლამენტმა ისეთ წყვეტილება მიიღო, რომლიდანაც რომ პარლამენტს მინისტრებზე ნდობა რა აქვს, მლიევიმ მინისტრობა მიატ გადაწყვეტილება აი რას ამბობდა: „პარტი მზათაა დაეხმაროს ისეთ სამინისტრო შელიც მამულის დაცვას მოახერხებს დან სხანდა, რომ პარლამენტის აზრით ვიეს სამინისტროს ამ დაცვის მოხერ შეეძლო.“

ახალი მინისტრები

მლიევის და მისი სამინისტროს დაიკავეს „მარჯვენა მხარის“ პირებმა

(*) შოველი პარლამენტი ისე გაწყობით ერთ კედელთან თავმჯდომარეს ადგილია და მის წინ ამაღლებული ადგილია დამზადებული, (რომელსაც „ტრიბუნას“ ეძახიან) იმ ვინც ლაპარაკობს; მოლაპარაკეს ზურგი მარცხენა მხარე მიქცეული, და პირი დებოთ თვითონ დეპუტატების სახდომი ტრიბუნის მოყოლებული, ისე რომ მოლაპარაკეს ყველა ხედავდეს. დეპუტატებს სახდომი ადგილებზე დაიჯებული ერთმანეთში, რომ მოლაპარაკით სწედან მმართველობის წინააღმდეგობა იმითმ მჩავენ მმართველობას, რომ ის, მაკამათ წინ არ მიდის და ძველ ჩვეს წესს ადგია. შუა ადგილი (ცენტრი) მმართველებს უკავიათ. მარჯვენა მხარე კი პუტატები სხედან, რომელნიც მმართველობას ხით ემდურებოან, რომ ის ნამეტნავთ წინ ძველ წესს და ცხოვრებას არ ზოგავს. ამის ღონის მარტების ეძახიან „მარცხენა მხარე“ ანუ „შოველებს“ და მარჯვენა მხარე ელ პარტიას მუდამ უკეთესი გაწყობილებით სურს მამულისთვის; მეორეს—იმევე მდებარეება, რომელშიაა მამული, და უკანასკ მამაპური ზნისა და გაწყობილობის ხელახლება. მინისტრები პარლამენტში უეჭველად იმ მარჯვენა მხარის პარლამენტის პარლამენტის ძალდატანებით არიან ამორჩევი საფრანგეთის კანონდებელი კრება ნაპოლეონ



შორის ჰეროდოტე და იუდეურთა... ამ სამინისტროს მიხედვით უფრო ნა...

საფრანგეთის მმართველობამ მიიღო სას... და უსარგებლო გადაწყვეტილება—საფ...

საფრანგეთში არეულობა მომხდარა შემდ... ამ ქალაქებში: ტულუზას, სანტ-მეტენს, ლი...

საფრანგეთის მმართველობამ მიიღო სას... და უსარგებლო გადაწყვეტილება—საფ...

საფრანგეთის მმართველობის ბაზისებზე

შესანიშნავე საქმეა, რაწინადაც ატყუებენ... საფრანგეთის ხალხს და ჯარს ფრანკურული...

ნადებენო და სხვ.—ამ ნაირ ამბებზე პარიჟის... და საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ პრუ-

ამნაირი მოქმედება, გაზეთების მხრით, სა... შინაღობსა და საფრანგეთის ხალხს თვლი აუ-

მაროპა ომის დროს

მნახოთ ესლა, რა მდგომარეობაში არიან... და რას შერებინან დანარჩენი სახელმწიფოები,

ინგლისი და გელგია

საფრანგეთს ჩრდილოეთისკენ აკრავს ერ... თი პაწაწინა სახელმწიფოა, რომელსაც ხუთი

საფრანგეთი დიდი ხანია ცდილობს ბელ... გის დაკავებას, ამიტომ რომ ეს პატარა ად-

საფრანგეთის სურვილი კარგა ხანია ასრულ... დებოდა, და ბელგია ესლა საფრანგეთის ნა-

საფრანგეთს ატლანტიურ ოკეანეზე არც ერ... თი ამ გვარი პორტო არა აქვს, ასე რომ ინ-

ბისმარკმა კარგათ იცოდა, რა ძვირფასი... ინგლისისთვის ბელგის ცალკე ყოფნა, და

ბი და მმართველობა საფრანგეთს მტრათ აკი... დებოდა, გამოაცხადა პირობის პროექტი, რომ-

ბეგრი მოლაპარაკების შემდგომ, ინგლისის... მმართველობამ მოახერხა პირობის შეცვლა

მაგრამ, თუმცა ინგლისმა ასე სწრაფლათ გა... მოიღო თავი ბელგის დასაცველათ და გულ-

ამსტრია

სადღის დამარცხების აქეთ, ავსტრიის მმარ... თებლობა, და განსაკუთრებით მისი იმპერა-

მართალია, საფრანგეთის დახმარებით, აეს... ტრიას ადვილათ შეეძლო ომში გარევა და

არც ერთი ეს გარემოება არ აკავებს აესტ... რიის მმართველობის თავს, გრაფ ბეუსტს,

იტალია

სამოცდა ექვსში, როცა პრუსია ავსტრიას... ომს უცხადებდა, იტალია პრუსიას დაუხანოვე-

ამბობდა იტალიისთვის დაეთმო, მერცხე... ვისი მხრით, რომლის საშუალებითაც იტალია

იტალიას მერცხე ქალაქის და მხარის შოგ... ნა იმნაირივე გულთით სურდა, როგორც ვენე-

შეველია, რომ იტალიის ხალხს ეს აზრი... ჰქონდა თავში, როცა, ომის გამოცხადების

მაგრამ მმართველობა დარწმუნებული იყო... რომ საფრანგეთი გაიმარჯვებოდა, და ამის მი-

თვითონ ფრანკურებს უკვირთ ესრეთი... მოქმედება იტალიის მმართველობის

მართალია ეს, თუ არა, ჯერ ნამდვილათ... არაგის ეცოდინება. მაგრამ იტალიის ხალხს

საზოგადოთ, მთელი მეროპა ომის დაბო... ლოგებას უცდის, ან უფრო სწორეთ რომ

ბრძოლის ველიდან

მკითხველს არ უნდა დაეწყებოდა, რომ გერმანიის ჯარი, საფრანგეთში შესვლის დროს, ორ რკინის გზას დაეყვანა, რომელიც გერმანიას და საფრანგეთს აერთებენ. პირველი ბრძოლა ატყდა, როგორც „დროების“ წინანდელ ნომერებში იყო ნათქვამი, იმ ადგილებზე, სადა ეს რკინის გზები გერმანიის და საფრანგეთის სამხედროს ეხებოდა, — საბრტუს და მისენბურგს. ამ უკანასკნელ ადგილში გამარჯვებულმა გერმანიის ჯარმა რკინის გზას დაეყვანა; და რადგანც იმ რკინის გზის ახლო-მახლო საფრანგეთის ჯარი იდგა, რომელსაც მარშალი მაკ-მაჰონი წინუძღვის, გერმანიელებს სურდათ თვითონ რკინის გზის ახლო, ზუღვს, აეტყვათ ბრძოლა, და ამ აზრით კიდევ შეატყვეს ფრანკუზებს ცოტაოდენი ჯარი. მაგრამ მაკ-მაჰონმა სხვა ადგილი გამოიჩინა, მითანი, ტყითა და ვენახით დაფარული, მერტის და ჭრევილიერის ახლო, სადა, თექვსმეტი საათის ბრძოლის შემდგომ, ფრანკუზები სრულდებით დამარცხდნენ.

ეს მკითხველებმა წინანდელი ნომრებიდან შეიტყვეს. მხოლოდ იმ უნდა გადმოეწვიროთ, რა ნაირათ გაგრძელდა ბრძოლა მაკ-მაჰონის დამარცხების შემდგომ.

მასაქეთ, რაც ამერიკაში ოთხი წლის ომის დროს (1861-1865) ომის საქმეებში რკინის გზას დიდი მნიშვნელობა მიეცა, და მასაქეთ, რაც პრუსიამ სამოცდა ექვსში საუცხოვოთ ომში რკინის გზა გამოიყენა, შეუძლებელი საქმე შეიქმნა ჯარის გაგზავნა-გამოგზავნა ისე, რომ გაგზავნილ ჯარსა და ჯარის გამგზავნელ სახელმწიფოს შუა რკინის გზა არ იყოს გველილი. ამ რკინის გზის საშუალებით წინ წასულ ჯარს მოდის ყოველნაირი დახმარება, საზრდო, იარაღი, ერთი სიტყვით ყოველიფერი, რაც კი მისთვის ომის დროს საჭირო შეიქმნება; ამავე რკინის გზას მიყავს უკან დაკადილი ან დაუძღურებული მხედრები, ან ის ნაწილი ჯარისა, რომელიც სადმე სხვაგან უფრო საჭირო შეიქმნება. ამერიკაში ჯარი რომ წინ მიდიოდა, თან რკინის გზას აკეთებდა და თავის უკან ტოვებდა, — ისე საჭიროთ თელიდა ამერიკის მმართველობა რკინის გზას ომიანობის დროს. აესტრიათან ომის დროს, სამოცდა ექვსში, პრუსიის მმართველობას ჯარის უკან დაშლილი რკინის ხიდები მოჰქონდა, და იმ ადგილას მმართვედა, სადაც მტერს ხიდის დანგრევა მოეხერხებოდა. მაშინ პრუსიის ჯარს თურმე ბევრი ხიდები დაურჩა უსარგებლოთ, ამიტომ რომ აესტრიაელებს ზოგიერთი ხიდები სრულდებითაც არ დაენგრათ, რადგანც იმათ არ სცოდნიათ თუ რა გამოსადეკი იქნებოდა რკინის გზა პრუსიელებისთვის.

აქედან ცხადია სჩანს, რომ პრუსიელები ეხლაც რკინის გზას უნდა დაეყვანათ საფრანგეთში შესვლის დროს. მართლაც, რაკი საბრტუსი ხელახლავ პრუსიელების ხელში ჩაეგარდა, და რაკი მაკ-მაჰონი მერტთან დამარცხდა, გერმანიელების ჯარი ერთის მხრით ჩდილოეთიდან იმ რკინის გზას დაეყვანა, რომელიც საბრტუსიდან მეცისკენ მიდის, და მეორის მხრით მისენბურგიდან ნანსისკენ მიმავალ გზას შეუდგა.

იმ ადგილს, სადაც ბრძოლა დაიწყო, ერთი მხრით (აღმოსავლეთით) ჩაუდის მდინარე რენი, და მეორეს მხრით რკინის შტო. — მდინარე მოზელის. ამ ორ მდინარეს შორის ერთი გვირგვინით ამოღებული მთის ზურგი, რომელსაც მოგვიზის (ფრანკუზულათ მოვიზის) მთებს ეძახიან. მერტთან გამარჯვებულ ჯარს ეს მთები უნდა გადაეგარა საფრანგეთში შესასვლელათ; ის ორ ნაწილათ გაიყო, რომლიდანაც ერთი დამარცხებულ მაკ-მაჰონს გამოუდგა, იმ რკინის გზის დაყოლებზე, რომელიც მისენბურგიდან საფრანგეთის ნანსისკენ მიდის, და მეორემ, დიდი გავლენით პირდაპირ გადაიარა მოგვიზის მთები, იმ რკინის გზის გვერდით, რომელიც ერთმანერთთან აერთებს წელიან ხსენებულ ორ რკინის გზას. — ამ გზას დაადა პრუსიის ტახტის მემკვიდრე, პრუსიის ჯარით. ბაერიის, ბადენის და პირტემბერგის ჯარები საფრანგეთის გზას დაეყენ.

აქედან სჩანს, რომ მოლოტკის პლანით, იმ ჯარს, რომელიც უწინ მოახერხებდა საფრანგეთში შესვლას, შემწეობა უნდა მიეცა მეორე ჯარისთვის, რომელიც მეორე გზით შესვლას აპირებდა. ალბათ მერტიდან საბრტუსისკენ პრუსიის მემკვიდრე თავისი ჯარის ნახევრით იმ აზრით წასულა, რომ ამ ადგილში იმ ჯარს შეერთებოდა და დახმარებოდა, რომელიც პრუსიიდან საბრტუსით საფრანგეთში შემოსვლას ცდილობდა. მაგრამ სწორეთ იმავე დღეს, როცა გერმანიელები მერტთან გამარჯვებული დარჩნენ, საბრტუსთანაც მძიმეთ დამარცხდა ფრანკუზების ლენერალი ჭოხასარი, რომელსაც უნდოდა გენერლები საბრტუსის გზით მომავალი პრუსიელები. მასასადამე ამ ჯარს მემკვიდრის დახმარება აღარ სჭირდა; ალბათ ამის მიზეზით პრუსიის მემკვიდრე მაშინვე სამხრეთისკენ მიბრუნდა და მთელი თავისი ჯარით ნანსისკენ გამგზავრდა.

ჩვენი დროების ომში ცხებებს და ცხებქალაქებს დიდი მნიშვნელობა აღარა აქვთ, თუ კი იმათ რომელიმე რკინის გზის გადაჭრა და ხელში ჩაგდება არ შეუძლიათ; მეომარი მათზე დიდ ყურადღებას არ აქცევს, და თავისი გზით მიდის წინ; ცხების წინააღმდეგ კი ძლიერ პატარა ჯარს ტოვებს. — პრუსიის მემკვიდრის ჯარიც ამ გეზით იქცეოდა: იმას გზაზე ბევრი ცხებები დახვდა, სხვათა შორის ისეთებიც, რომელთაც მთებს შუა გზებში ეკავათ ხელში, მაგალითად ბიჩი, შჭალკბურგი, და სხვ. ზოგი ამ ცხებებთან (ლაგენაუ, ლინტემბერგი, და სხვ.) გერმანიელებმა მაშინვე დაიკავეს, ზოგმა სხვამ გამარდნ და ბრძოლა დაიწყეს, ასე რომ ჯერეც არ ჩაეგარდნილან გერმანიის ჯარის ხელში. — სხვათა შორის, ამისთანა მდგომარეობაშია დიდი ცხებქალაქი სტრაზბურგი. მისი აღება, მართალია, აუცილებლათ საჭირო არ არის გერმანიელებისთვის; მაგრამ, იმათ რომ ეს ქალაქი ეჭროთ ხელში, ის დიდ შემწეობას მისცემდა გერმანიის ჯარს, რადგანც მაშინ გერმანიელებს მესამე რკინის გზაც ექნებოდათ, რომელიც სამხრეთელი გერმანიიდან ეხლანდელზე უფრო ადვილათ და ჩქარა გაუწეობდა ხელს გერმანიის ჯარს.

მაგრამ, როგორც წინეთ ვთქვით, ომის წარმოებისთვის თითქმის სრულიად არაფერს ნიშნავს იმისთანა ქალაქების აღება, როგორც სტრაზბურგი, შჭალკბურგი და სხვ. მკითხველმა ერთი თვალი რომ გადაავლოს აღმოსავლეთური საფრანგეთის კარტას, დაინახავს, რომ რკინის თანასწორათ მდინარე მოზელს მიყოფა რკინის გზა ლუქსამბურგიდან ლიონამდე. საფრანგეთის ჯარისთვის ამ რკინის გზას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ძლიერ ცოტა ხნის განმავლობაში შეეძლო ერთ ალაგას მოეგრკოვებინა მთელი ჯარი და იარაღი, რომელიც აღმოსავლეთურ საფრანგეთში იმყოფებოდა; რასაკვირველია, რომ მერტამ ამ ჯარს მთავრობა სადაც უნდა იქით წაიყვანდა, გერმანიისკენ დასაცემლათ. — ამ ნაირ რკინის გზას დიდი გავლენა აქვს ომზე, ამის გამო გერმანიის ჯარი პირდაპირ წინ წაიყვანდა, რომ ეს გზა გადაეჭრა, და ამით საფრანგეთის ჯარი დაეცალკალკებია.

ამ რკინის გზას სამხრეთით მერტში გამარჯვებული მემკვიდრე დაეცა, რომელმაც ძლიერ ადვილათ დაიკავა ნანსი, ლუნელი და სხვ. — საფრანგეთის ჯარი თურმე ისეთის სიჩქარით იხვედა უკან, რომ არც რკინის გზის წახედნას ფიქრობდა, არც ვაგონების და მაშინების წაყენას; ასე რომ გერმანიელებს რკინის გზა მთელი მისი გაწყობილებით ჩნებოდათ ხელში. ზოგიერთ ვაგონებში იმათ საომარი იარაღი, წამალი და სხვა ამ გვარი საგნებიც უზოვიათ. მეორე მხრით მომავალი პრუსიის ჯარი, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, იმ რკინის გზას გამოყვანა, რომელიც საბრტუსიდან მეცისკენ მიდის, და რაკი ამ გზას ახლო-მახლო ყველა ადგილები დააღვინა საფრანგეთის ჯარს, ეს გზა სრულიად მის ხელში დარჩა. იმასთანავე მეცის თავს აყრიდა მთელი საფრანგეთის ჯარი. მეცი ფრიალ შესანიშნავი და მაგარი ცხებქალაქია, რომელიც სძევს მდინარე მოზელზე იმ ადგილს, სადა ეს მდინარე ორი თავისი ტოტით კუნძულს ადგენს, და სადა ლუქსამბურგიდან ლიონს მიმავალ რკინის გზას საბრტუსიდან მომავალი რკინის გზა ერთვება. მასასადამე ამ ცხებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა წლივანდელ ომში. — მაგრამ მოზელის მარჯვენა მხარე გერმანიელებს ეკავათ; ომის წესისამებრ, საფრანგეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა თავისი უცხო მდგომარეობა, რომელსაც აღმოსავლეთით მოგვიზის მთები იფარავდნ და დასავლეთით რკინის გზა ამგვრებდა, — და წასულიყო შალონისკენ (მარნაზე) სადა იმას და გერმანიელებს შუა არგონის ტყიანი მთები დარჩებოდნ. ამას თხოულობდა ომის წესი და გამოცდილება. მაგრამ ნაპოლეონს რომ უბრძოლოთ დაენებინა მტრისთვის ამოტენა ადგილი, საფრანგეთის ხალხი, რომელსაც ომის პლანებში ბევრი არა გავგება რა, უფრო სასტიკათ აუტყდებოდა თავის მმართველობას, და მის უტოდნელობას დაბრალებდა ამოტელა ადგილის დაკარგვას. ამის გამო, და კიდევ საფრანგეთის ჯარს რომ სიმხნე და მამაცობა არ დაეკარგა, ჯარის უფროსებმა არჩიეს მოზელის მინდვრებზე შეტაკება გერმანიელებთან, თუმცა ეს შეტაკება, ადგილის მდებარეობით, საფრანგეთისთვის გამოსადეგი ვერ იქნებოდა.

ამ განზრახვით, სამი დღის განმავლობაში 2, 4 და 6 აგვისტოს (მეროპიულა ანგარიშით 14, 16 და 18 აგვისტოს) მოხდა ბრძოლა მანციის სიახლოვეს. რადგანც საფრანგეთის ჯარი შალონისკენ მიდიოდა, გერმანიელებმა თავისუფლათ არ გაუშვეს ეს ჯარი მოზელზე; 2 აგვისტოს გერმანიის ჯარის მარჯვენა ფრთა (*) დაესხა თავს ჩრდილოეთიდან წყალში გამავალ საფრანგეთის ჯარს, და ძლიერ გამწარებული ბრძოლის შემდგომ დაამარცხა; **) დამარცხებული ჯარი შალონის გზას გაუდგა, მაგრამ იმავე დროს გერმანიის შუაგულში ჯარმა (შრიდრიხ-პარლის) გადავიდა მოზელზე სამხრეთისკენ (პონტა-მუსონთან), საფრანგეთის ჯარს მარცხით გვერდი აუარა, და 4 აგვისტოს თავზე დაესხა, იმ აზრით, რომ პარიტისკენ აღარ გაეშვა და წასასვლელი გზა წაერთვა. ეს ბრძოლა მოხდა სოფელს მარს-ლა-ტურთან, ოც ვერსზე მეტიდგან, დასავლეთისკენ. შრანკუზების მხრით ამ ბრძოლას ას ოცი ათასი კაცი (ხუთი კორპუსი) დაესწრო. — გერმანიელების მხრით ოთხი კორპუსი იყო.

(*) გერმანიის ჯარი სამ ნაწილათაა გაყოფილი. მარჯვენა ნაწილი (ან ფრთა) ლენერალ შტეინიციუსს აბარია. შუა ადგილს მომავალ ჯარს („შუა გულს“ „ვენტის“) უფროსათ პრინცი ჭოხრიხ-პარლი ყავს. მარცხენა მხარეს (სამხრეთით) წინუძღვის პრუსიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჭოხრიხ-პარლი.

(**) „მაკაჰონი“ დაბეჭდა ამ ბრძოლაზე „რუსული ტელეგრაფის აგენტობის“ დეპეში, ვითომც პრუსიელებს ამ ბრძოლაში ორმოცი ათასი კაცი დახოცდნ. — როგორც ეხლა რუსულ გაზეთებში ამბობენ, ეს ტყუილი ამბავი ყოფილა.

გერმანიელებმა აქაც გამარჯვდნ და ტყუილებს ორი ათასი კაცი დახოცდნ. ლი და შეილი ზანდანი დასტოვდნ. მაგრამ, რადგანც მათი აზრი გზის გადაკეცა, და რადგანც იმათ ამ აზრის ასრულები იმდღეს ვერ მოახერხეს, ფრანკუზებმა ეს მარცხება გამარჯვებათ ჩაითვალეს, და მარლაკ გამარჯვებასავეთ მოუხდებოდნ, ნვისტოს ხელახლავ რომ არ დაეწეოდა გერმანიის ჯარი, და საზარელი ბრძოლა აეტება.

ეს ბრძოლა მოხდა რეზონილთან, მალატურის ახლო. ამ ბრძოლის დაწერილები ამბავი ვერ მთელისში არ მოსულა, მაგრამ, როგორც დეპეშებიდან სჩანს, ამ ბრძოლას ის გავლენა ჰქონია, რომ გერმანიელებს საფრანგეთის ჯარი ორათ გაუზიათ, ნახევრად უკან მეცისკენ გამოუტყვევიათ და მეცისკენ ხელში დაუწყვედევიათ (ამ ჯარს თავში მარშალი ბაზენი უყენია) და მეორე ნახევარი ჩრდილოეთისკენ გადავიარდნილა, რემისის ქალაქისკენ, საიდანაც იმას მეორე რკინის გზა (ჩრდილოეთის გზა) პარიტთან აერთებს; მასასადამე მთელი აღმოსავლეთი — პარიტთან საზღვრამდე — გერმანიელების ხელში ჩაეგარდნილა.

ახლა მეცში დამწყვედულ ბაზენის ჯარტყია ერთი იმდონივე გერმანიის ჯარი; ნარჩენი კი პარიტისკენ წავიდა, გზაზე შალონი (მარნაზე) დაიკავა, და ბოლოს რემის ადგა.

ომის ამბები, ორივეს მხრით. აცხადებენ რომ ბრძოლაში ყველაზე უფრო მეტათ აფერები იხოცებია. — მკითხველი ადვილათ უნდა მიხედეს, რომ ყოველი ჯარი ცდილობს თავის მტერს წინმძღონელები მოუკლას და ჯარი უპატრონოთ დასტოვოს. პრუსიელებს შემოიღეს ჩინებული საშუალება — ომიანობის დროს აფიცრდნ იმ გვარადვე ჩაცმა, როგორც სალდათებს აცვიათ, რომ მტერმა შერიდნ აფიცრი ვერ დაინახოს. მაგრამ, რადგანც ომის საჭიროება თხოულობს, რომ აფიცრები, განსაკუთრებით შტაბის, ცხენებზე დნენ, მტერი ადვილათ ხედვს სხვაზე უფრო ამალღებულ პირებს, და რასაკვირველია მაშინვე იმათ ნიშანში იღებს. მასა მიხეზი, რა აფიცრები, ორივეს მხრით, საშინლათ იხოცებია, ასე რომ ზოგიერთ პოლკებს ორი-სამ აფიცრიც ძლიერს რჩებათ — ბრძოლის შემდგომ.

ეს გარემოება იმასაც ამტკიცებს, რომ რი ორივეს მხრით მშვენიერათ ხმარობს ახლოთებს, და ეს თოფები მარტო ხმარის სრულით კი არ სჯობიან უწინდელებს, — იმათ ნიშანშიაც უტყვესათ მიაქვთ.

მალიკი ნანსი, რომელშიაც ორმოცდა ათი ათასი კაცი სტოვრობს, დაუყვებია ოთხ პრუსიის სალდათს. ნახევარი საათის შემდგომ მოსულია და ექვსი სხვა სალდათი; და სალაშოს — ას ორმოცდა ათი ულანი. ამ ჯარისთვის წინააღმდეგობა არავის ნია.

ეს არაფერი. სასიამოვნო საქმე ის არის, რომ პრუსიელებმა ნანსი დაიკავეს, იმათ შიგ არაფრის ხელი არ უხლიათ, ასე რომ მეორე დღეს გამოეწველეს პარიტს მიგვრათ, თვითონ დაიკავეს (L'Espérance), რომელსაც აი როგორც თავისუფლათ შეეძლოთ რა-ბეჭდვა:

„მუშინ, პარსკევეს 31 ივლისს (12 აგვისტოს) ნაშუადღვის სამ საათზე, ჩვენთვის და ჩვენს შთამომავლებისთვის სასურველად, ოთხმა პრუსიელმა სალდათმა დაიკავე მერტის დეპარტამენტის თავი ქალაქი ნანსი, უწინდელი სატახტო ქალაქი ლორანისგან და სხვ.“

მერტის ბრძოლის შემდგომ გერმანიელებმა რომ გენაუს ცხებ აიღეს, იმათ მაშინვე, ჩვეულებრივად ტელეგრაფის სახლი დაიკავეს და ფრანკუზულათ მის სახურვე პარის მიგვრათ, თვითონ დაიკავეს. შტაბის შემდგომ სტრასბურგიდან (სადაც ლაგენაუს ამბავი ვერ არ მოსულიყო) დეპეშა მოვიდა: „რომ მდინარიანობა შეგვიძლია ჯარის გამოგზავნა, თუ არა გერმანიელებმა, რასაკვირველია, უპასუხეს, მშვენიერად გამოგზავნეთო. შტაბის შემდგომ გამოგზავნენ, ათასი დაიარაღებული კაცი. გერმანიის მა ჯარი ისევ ვაგონში დაწვედული დატოვდა პირდაპირ ბერლინისკენ გაგზავნეს ტყვეთ.“